სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 8 22 0001009883

06/09/2022

სტუ-ში 2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის, ,,2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 5 აპრილის ბრძანების, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 09 ივლისის №01-05-04/81 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' #4 დანართის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სტუ-ში 2022 წელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისათვის პრაქტიკული მოსინჯვის კომისიის შემადგენლობა (იხ. დანართი);

2. სტუ-ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის პრაქტიკული მოსინჯვა ჩატარდეს 2022 წლის 12 სექტემბერს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე (მის.: თბილისი, მ. კოსტავას 68, სტუ-ის I კორპუსი), 13 სექტემბერს 10:00 დან 17:00 საათამდე (მის.: თბილისი, მ. კოსტავას 68, სტუ-ის I კორპუსი; მ. კოსტავას 71, სტუ-ის VII კორპუსი) და 14 სექტემბერს 11:00 დან 16:00 საათამდე (მის.: თბილისი, მ. კოსტავას 68, სტუ-ის I კორპუსი);
3. პრაქტიკული მოსინჯვა ჩატარდეს აპლიკანტების მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დონის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვის გზით;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პრაქტიკული მოსინჯვის ორგანიზაციული საკითხების ადმინისტრირება დაევალოს სტუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსს (ე.კვესიტაძე);
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ის ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს;
6. ბრძანება გამოქვეყნდეს სტუ-ს ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან